

## ბიზნეს სუბიექტები... 2014 (10)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის ოქტომბრის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 4 329 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 97.1% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 2.9% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.989 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. ოქტომბრის თვეში ზრდა დაფიქსირდა როგორც წინა თვესთან (3.1%-ით), ისე წინა წლის იმავე თვესთან (7.8%-ით) შედარებით.

2014 წლის ოქტომბრის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 2.7%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 19.2%-ით გაიზარდა. განსხვავებული ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის ზრდა 8.3%-ით და არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის კლება 7.5%-ით.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.989 და 0.976 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. ოქტომბრის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (2 486 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 57.4%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 625 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 37.5%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 94.9% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 119 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 75 კოოპერატივი, 17 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, 3 უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი და 2-2 სააქციო საზოგადოება და საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

**P.S.** დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... ოქტომბერი, 2013-2014

(ბ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2014



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა  
ოქტომბერი, 2013-2014**

ინდიკატორები	ზ.ე.	ოქტომბერი	
		2013	2014
<b>რაოდენობა</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	3881	4205
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	134	124
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	4015	4329
<b>სტრუქტურა</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	96.7	97.1
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	3.3	2.9
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
<b>ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-7.4	2.7
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	10.7	19.2
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-6.9	3.1
<b>ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	27.1	8.3
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	61.4	-7.5
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	28.0	7.8
<b>ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.913	0.989
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	1.055	0.976
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.917	0.989
<b>რაოდენობა</b>			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	2391	2486
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	0	0
კოოპერატივი	ერთეული	8	75
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1470	1625
სააქციო საზოგადოება	ერთეული	2	2
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	10	17
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	134	119
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	0	3
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	0	2

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2014

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ՀՌԲԵԿՆԸՆ ԻԶՅՈՒՆՏԻՎԱԿՈՒՆ ՄՅՈՒՆ ԸՆԾԱՆՈՎՆԱ... 2010-2014  
ՅԵՆԱԿԻ ՀՌԲԵԿՆԸՆ ՆԱԶՈՐԱՆԻՇՆԵՐԻ (ԺԻՏԻՎՈՐ)

